# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2742 2016 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ**

1. დაბა ბაკურიანსა და სოფელ გუდაურში მოსული უხვი ნალექის გამო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (შემდგომში - დეპარტამენტი) 2016 წლის დეკემბერიდან 2017 წლის აპრილის ჩათვლით უზრუნველყოს „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მიმდინარე შეკეთების (გზების ზამთარში შენახვა) სამუშაოების განხორციელება:

ა) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 159-ე მუხლის საფუძველზე, ადგილობრივი მნიშვნელობის დაბა ბაკურიანი-სოფელ დიდი მიტარბი-

პატარა მიტარბი-გუჯარეთის საავტომობილო გზის (გადასახვევი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაბა ბაკურიანის წრიული საავტომობილო გზიდან) 6 კმ-იან მონაკვეთზე;

ბ) „შპს „გუდაურის განვითარების სააგენტოს“ მიერ განსახორციელებელ რიგ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს №1033 განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების მხარდაჭერის ფარგლებში, სოფელ გუდაურში გამავალი საავტომობილო გზიდან (საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზა) ე.წ. ახალ გუდაურამდე (ბოლო პარკინგი) არსებული, დაახლოებით, 1700 (ათას შვიდასი) მეტრი სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მონაკვეთზე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების ამავე პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში განხორციელება დეპარტამენტმა უზრუნველყოს მიმდინარე შეკეთების (გზების ზამთარში შენახვა) სამუშაოების თაობაზე დეპარტამენტში მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**